ხელშეკრულება სახელმწიფო
შესყიდვისშესახებ # 47

ქ. გურჯაანი 28 მარტი 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მისი მერის არჩილ ხანდამაშვილის სახით და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი ინგა ქვარცხავას (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შესახებ ინფორმაციისა და ინტერვიუს მომზადება და განთავსება წიგნში, კატალოგში „ფაქტები, საქართველოს რეგიონები 2017" .

2.2 შესყიდვის საშუალება–გამარტივებული შესყიდვა.

2.3 კლასიფიკატორისკოდი–79800000, 79823000.

3. მომსახურებისღირებულება

3.1 მომსახურეობის საერთო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარი.

3.2 მომსახურეობის ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს დ ასაქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობი სდადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული წუნდების მიზეზების მითითებით;

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.4 ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი შესაბამისი ინსპექტირები სჯგუფი.

5. მომსახურეობის გაწევის ვადა და ადგილი

5.1 მომსახურეობის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 31დეკემბრამდე.

5.2 გურჯაანის მუნიციპალიტეტი: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის გამზ. №13.

6. მომსახურეობის მიღება-ჩაბარებისწესი

6.1. მომსახურეობა ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება მომსახურების გაწევისათვის განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (ელ. ანგარიშფაქტურა, ზედნადები ან **მიღება-ჩაბარების აქტი)** წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

7.2. მომსახურეობის გაწევისთვის ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.3 სააბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. მხარეთა უფლება–მოვალეობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია: – მომსახურეობის გაწევის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია

11.2 შემსყიდველი ვალდებულია: – უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურეობის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

11.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

11.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. თუ მიმწოდებელი: ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას გათვალისწინებულ ვადაში; ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

12.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე: ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას; ბ)მიმწოდებლის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

12.3 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.4 მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურეობის დადგენილ ვადაში შეუსრლებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების 0,02 %-ის ოდენობით.

12.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ორი დღით ადრე.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული პირობების ზეგავლენით.

...ულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების ...ესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

14.2 თუ ერთ–ერთი მხარე ფორსმაჟორული პირობების გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის, ხელშეკრულების ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. გამოყენებულისამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

18. შეტყობინება

18.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2018 წლის 28 მარტიდან, 2019 წლის 1 თებერვლამდე.

20.2 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. მიმწოდებელს გადაეცემა ერთი ეგზმპლიარი, ხოლო 2 ინახება შემსყიდველთან.

21. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი „	„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	ფიზიკური პირი ინგა ქვარცხავა
მისამართი: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის გამზ. №13	მისამართი: ქ.თბილისი. ღამბაშიძის 3ა ბინა 8 ბ
საიდენტიფიკაციო კოდი 227765022	საიდენტიფიკაციო კოდი 01015010349
სახელმწიფო ხაზინა	სს საქართველოს ბანკი-ის ცენტრალური ფილიალი
ხაზინია ერთიანი ანგარიშიTRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022	ანგარიშის ნომერი:GE36BG0000000174168900
მერი /ა. ხანდამაშვილი/	ფიზიკური პირი: /ი. ქვარცხავა/

ქ. ...

ინტერესთა კონფლიქტის
ოქმი

ქ. გურჯაანი 2018 წელი 28 მარტი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით გურჯაანის მუნიციპალიტეტისთავის ჟურნალ-კატალოგის „ფაქტები, საქართველოს რეგიონები 2018" (სადაც განთავსებული იქნება გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შესახებ ილუსტრაცია, ინფორმაცია და ინტერვიუ). შესყიდვის განხორციელებაში (მომსახურეობის ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს), ი/მ „ინგა ქვარცხავასთან" (ს/კ 01015010349) მიმართებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

არჩილ ხანდამაშვილი	გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი;
კონსტანტინე ბერიძიშვილი	ეკონომიკის სამსახურის უფროსი;
მერი ოსოშვილი	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ.